
სართ. -3,30 ნიშნულზე
1 : 200



131.6 m²

5.0 m²
5.0 m²

20.6 m²


51.0 m²
75.1 m²

713.4 m²

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება N 882015139465-03 (19.03.2015)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882015139465; 13 მარ 2015; განმცხადებელი: იბა 'აბანოთუბანი 2006', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია მშენებარე მრავალბინიან/მრავალერთეულიან უძრავ ნივთზე , მდებარე ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის (ფირდოუსის 5)მეორე სადარბაზო,ბინა 11 (47.1 კვ.მ) [ზონა:თბილისი, სექტორი:კრწანისი]

განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. ხელშეკრულება N140317921 ცვლილება N3
3. თანხმობა N150039542 (მინდობილობა იხ საქმეში N882014306802)
4. თანხმობა (სამი)
5. უძრავი ქონების გაყოფის ცვლილება იხ. განცხ. N882014176322
6. ბრძანება N1635999 იხ საქმეში N 882014702804

წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია მშენებარე მრავალბინიან/მრავალერთეულიან უძრავ ნივთზე მდებარე ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის (ფირდოუსის 5)მეორე სადარბაზო,ბინა 11 (47.1 კვ.მ) .სარეგისტრაციო დოკუმენტად მითითებულია თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული 1635999 ბრძანება და წარმოდგენილია ცვლილების და დამატების უძრავი ქონების გაყოფის შესახებ ხელშეკრულებაში (რN140317921) შესწორება N3. მოგახსენებთ რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერების თანახმად 01.18.04.017.011 კოდით ი.მ.ა. "აბანოთუბანი 2006"-ის , ID ნომერი:204520562 საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ი.მ.ა. "აბანოთუბანი 2006"-სა და მშენებარე ერთულების მომავალ მესაკუთრეებს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებულებული ვალდებულებები.
განცხადების განხილვის პროცესში დადგინდა, რომ
თბილისის არქიტექტურის სამსახურის 29/08/2014 წლის 1635999 ბრძანება და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული პროექტი ურთიერთშეუსაბამობაშია,კერძოდ ბრძანებით შეთანხმებულია 1001,7კვ.მ სარდაფის მშენებლობა ხოლო პროექტის მიხედვით აღნიშნული ფართის ნაწილი წარმოადგენს ა/სადგომს, ასევე აღნიშნული განაწილების ოქმით +8,70 ნიშნულზე განაწილებულია პროექტთან შეუსაბამობაში არსებული საცხოვრებელი ფართი და არ არის გათვალისწინებული ავტოსადგომების ფართი.
განცხადებით მოთხოვნილი უფლების რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენია კორექტირებული პროექტი რომლითაც გათვალისწინებული იქნება ავტოსადგომების ფართი და წარმოსადგენია კორექტირებული განაწილების ოქმი ზემოდ აღნიშნულის გათვალისწინებით რომელიც ხელმოწერილი იქნება მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული მშენებარე ერთეულების მომავალი მესაკუთრეების მიერ.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის

წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.